



სალიტერატურო და საკონსერვო ნახაბიანი გაზეთი. გამოდის შოთხელ კვირადღეს.

№ 3

იანვარი, 14 1896 წ.

№ 3

**შინაარსი:** შარშანდელი ქართული მწერლობის შესახებ პ. ჭიასი, —სხვა-დასხვა ამბები, —პოეტისეპიკა, გულგატეხილისა, —პროფესორ პერინის პლანეტარი, —მთიანის ხალხი (დასასრული) ცაგელისა, —სიოფლი და სსიოფლო შკოლა გერმანიაში, —საზღვარ-გარეთელისა, —საქველ-მოქველ სუქე, —კვრი და ქუთაისის პანკის განცხადებები, —

2061


შარშანდელი ქართული მწერლობის შესახებ.

**მ**ადლობა ღმერთს! ჩვენს ლიტერატურას, რომელსაც ამ რამდენიმე წლით წინათ ემჩნეოდა ერთფერობა და ერთგვარობა, ამ ბოლო დროს ისევე დაეტყო გამოღვიძება, გამოცოცხლება, აკვალი“ და „მოამბე“ რომ გამოვიდა მას შემდეგ. ამ ახალ გამოცემათა და უფრო „აკვალის“ გაჩენამ ხელი შეუწყო სხვა დასხვა აზრისა, შეხედულობისა და მიზნართულების მექონე პირთა გამოკამათებას, გამოზასებას ერთმანეთში. ვარდა ამისა, გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე ახალგაზდებ და თან შემოიტანეს ახალგაზდური სიმკვირცხლე აზრისა, სიწმინდე იდეალებისა, პირდაპირობა და სხ.

თუ 1894 წელიწადს, ლიტერატურის მხრით, შეგვიძლია ვუწოდოთ საკრამიტო კამათობის წელიწადი, ვასულ 1895 წელს ამ მხრივ შეგვიძლია დავარქვათ საეკონომიო კითხვათა შესახებ კამათობის წელიწადი. ბ.ბ. ნ. კორდანი, ფ. მახარაძე, ზომლეო, ფხა, ქართველი მკითხველი, ქუთათური მკითხველი, ყველა ესენი და ზოგიერთი „იეგრე-

ლებიც“ თავის ნაწერებში ცხებთან საეკონომიო კითხვებს ჩვენი ქვეყნის შესახებ განსაკუთრებით ყურადღებას აქცევენ ეკონომიურ მხარეს ჩვენი ცხოვრებისას. „იმპუზ“ ბევრს სამართლიანათ აღუძრეს სურვილი ამ საენების გაცნობისა, ხელში ააღებნენ, უცქევალით, ბევრს განზე მიგდებული წიგნებუ ეკონომიურ შინაარსისა. ჩვენში ამ მიმართულების აღმძვრელები, საფიქრებელია, თვითონ იმყოფებოდნენ და იმყოფებოდნენ — თუ ყველა არა, ზოგი მინც — რუსეთის მწერლების ზე-გავლენას ქვეშე. მოგვხსენებათ. ამ უკანასკნელ წლებში გამოვიდა რამდენიმე წიგნი მარკსისტებისა — მაგ. სტრუენსი, ბელტოვისა, — მიმდევართა ეკონომიური მატერიალიზმისა, რომელმაც დიდი და ფიცხელი კამათობა გამოიწვია რუსეთის მწერლობაში. ამ მოხსენებულ მწერლებს თავის მხრივ იგივე გასცეს პასუხი მიხილოცკიმ, ნიკოლ-ოზნა... ამ ნეომარკსისტებისა და სუბიექტივისტების კამათობამე გამოიწვია შემარიგებელ კილოთი დაწერილი სტატა ლ. ობოლენსკისა, სათაურით: Новый раскол въ рус. интеллигенции („Р. М.“).

ჩვენ გვგონია, რომ ჩვენს მწერლობაში ატეხილი ეკონომიური კამათობა, ცოტათი თუ ბევრათ,



ამ დაშორებული პოლემიკის წაბაძეის შედეგია. ამას ზოგიერთთა ნაწერების გარეგანი მხარე, მწერლობის ცილოც ამოწმებს, შინაარსაც რომ არ შეეცხათ. ეს გარემოება სულაც არ ამცირებს ამ კამათობის მეთაურთა ღირსებასა და მნიშვნელობას. საკმაოთა საგნების წაბაძეა, რაც უნდა იყოს, ერთი უმთავრესი ფაქტორთაგანია პროგრესისა, და თუ მისი კანონები მკლევარს უ. ტარდს დაუუჯერეთ, მთელი ისტორია არის მიბაძეა და სხვა არა რა. და ეს მიბაძეის ნიჭი რომ არ ჰქონოდა აღამიანს, იგი აუარებელ ღრთა განმავალბაში დარჩებოდა ერთგვარ მდგომარეობაში.

ასეა თუ ისე, ჩვენ დიდ მადლიერნი უნდა ვიყუეთ იმ მწერლებისა, რომლებმაც ახალი გამაცოცხლებელი წყარო შემოიტანეს ჩვენს მწერლობაში, ახალი შუქი შემოანათეს ჩვენს ცხოვრებაში.

ჩვენნივე მწერლობის მომავალი სარგებლობა და წარმატება მოითხოვს, რომ ამ ახალგაზდა მწერლებს მიეცეთ გზა ფართო და—თუ დახმარება არა, დაპრკალბა მინც არ აღმოეუჩინოთ...

როცა ჩვენ ვერაბის სწავლა-განათლებას, მეცნიერებას ვიძინთ, ამ შეძენილი ცოდნის მეოხებით ჩვენ საკუთარ ცხოვრებას ვიკლევთ და ვედილობთ იმ გზით სელას, რომლითაც ვერაბას უელა წარმატებისკენ, პროგრესისკენ,—ეს იმის მომასწავებელია, რომ ჩვენ გავეროპიელების გზას ვადგივართ. ამ მხრით, უეჭველია, ერთი ნაბიჯი მინც წინ წაედით შარზან.

ეს გავეროპიელება, როგორც სამართლიანთ ამბობს ბ. ნ. ჟორდანი, უნდა წარმოებდეს ქართულ ნაღაგზე, ქართულ კულტურაზე. არც ეს პრინციპი იქმნა შარზან მივიწყებული: ამ მხრით თუ პეტრი არა, არც ნაკლები გაცუთებულა.

აკაკიმ, რომლის მადლით მოსილმ-კალამბა ბეერი აკაკიებურა შეძენა ქართულ მწერლობას საანგარიშო წელიწადს, მიგვითთა ჯერ კიდევ წინა წელს ზეპირ-სიტუეობის საკიროებაზე. შედგა ამ საქმისათის ფონდი, დაწყო დენა შემოწიროლობამ საქართველოს უველა კუთხიდან და საქმით თანხაც შეგროვდა მოკლე ღროს, თუცა მტერი სიუხვეც რომ გამოეჩინა პატიეცემულ ქართველ საზოგადოებას ამისთანა ფრიად საყურადღებო საგნის შესახებ,—ესეც შეიძლებოდა.

11 სეტემბერს კრწანისის ველზე შეიკრიბა ქართველობა და მოიხსენია ირაკლი მევე და სამზობლოსათის თავდადებული ქართველნი. გაითვალისწინა თავისი წარსული და მომავალი და ამ უკანასკნელზე იმედითა და სასოებით შემაცქერალი გაიფრტა საქართველოს სხეა-და-სხეა მხარეს.

ჯერ ვერც კი მოასწრო ქართველობა საზოგადოებამ გამორკვეულ იყო იმ აღუროვნებისკენ, რომელშიაც იგი იმყოფებოდა კრწანისის ველზე 11 სეტემბერს, როცა მოაწია 22 ოკტომბერმა და ქართველობა კვლავ შეგროვდა, როგორც ერთი კაცი (ვინც პირდაპირ ვერ მოხვდა თბილისს, სულთ მინც იქ იმყოფებოდა) და პატიე სცა „სამზობლო ხევისურის“ აუტორსა, ამ მსკოვანსა და საყვარელ პოეტს.

ამ ორ შემთხვევამ ლიტერატურაშიაც გამოიწვია ბეერი შესაფერი ისტორიული და პატრიოტული ნაწარმოები.

ამვე ორ საყურადღებო გარემოებაში გამოიხატა მართლაც მოწიფება საქართველოს ერის თითოცნობიერებისა. ეს ორი გარემოება, მომხდარი შარზან, ერთხელ კიდევ აწკარათ ღლადებს, რომ ქართველი ერი დაღვა ნაციონალურ ნაღაგზე განვითარების გზას და ამ გზას რომ გადახვევიოს, ადვილათ არ ძალუძს არა რა ძალას... თუ ჩვენ თვითონ ჩვენით, ვითომდა უუეთესის მოძებნით, არ ვადღუხვიეთ ამ გზას

ჩვენი პერიოდული გამოცემანი შეძლებისამებრ ემსახურებოდენ ჩვენი ქვეყნის განვითარების საქმეს ორივე მხრით.

„მომამბეზე“ უნდა შეენიშნოთ, რომ მას, სამწუხაროთ, თითქმის მთელი წლის განმავალბაში აკლდა ის, რაიცა შეადგენს სულსა და გულს ყოველი თვითრი ქურნალისას-შინაური და უცხო მიმოხილვანი. ეს მით უფრო დატყუა ქურნალს, რომ მას დაკლდა თანამზობლობა ისეთი მარჯვე კალმის მექონი მწერლისა, როგორც არის ბ. ნ. ნიკოლაძე.

ნატერა არაა საკირო, რომ ამ 1896 წელსაც ჩვენი ლიტერატურა შეძლებისამებრ ეცდება ჩვენი ხალხის განვითარებას სასურველის მიმართულებით...

### სხვა-და-სხვა ამბები



რს ამ თვეს კრება ჰქონდა კავკასიის ექიმთა საზოგადოებას, რომელმაც გადაწყვიტა პირველ აპრილიდან გამოსცეს „საექიმო ფურცელი“ რუსულ, ქართულ და სომხურ ენაზე. რედაქტორებათ ქართული განყოფილებისა კრებამ ამირჩინა ექ. ი. ს. ელიაშვილი და სპ. ეაწაძე. როგორც ეციოთ რამდენსამე დღეს შემდეგ ამისა კრება ჰქონდა აგრეთვე კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, რომელმაც გამოთქმული იყო ის აზრი, რომ საზოგადოებამ თავის მხრით შეეწეობა და დახარება აღმოუჩინოს განზრახულ „საექიმო ფურცელს“ თუ მასალით და თუ ტერმინების მიწოდებით ქართულ ენაზე. იმედია სამეურნეო საზოგადოება ამ თავის კეთილ განზრახვას სისრულეში მოიყვანს და შესაფერადაც შეასრულებს.

\* \*

9-ს ამ თვეს ენ. ნ. ჯორჯაძის თაოსნობით თელავში ქართულ-რუსული წარმოდგენა ყოფილა გამართული, რომლის წმინდა შემოსავალი წიგნთ-საცავის სასარგებლოთ გადაუდგიათ. კარგი იქნებოდა, რომ პატრონებული ენ. ნ. ჯორჯაძის ან დაიზარებდეს და კიდევ გამართადეს წარმოდგენას წყალ-დიდობით დაზარალბულთათვის სასარგებლოთ. იქიდანვე გეატყობანებენ, რომ ბ. აჯამაშვილს განუზრახავს დაარსოს „მოდრავი სცენა“.

\* \*

დღეს, 14 იანვარს, წმ. ნინოს დღეობას სიონის ტაძარში იქნება ძველი ქართული საეკლესიო გალობა. უფველია ქართველი საზოგადოება სისარულით მიეგებება ამ ამბავს და ისარგებლებს იშვიათ შემთხვევით, რომ მოსიმინოს ნამდვილ ქართულ კლოზე ქართული წირვა.

\* \*


საფელ კურსებში 23 დეკემბერს შემდეგ უბედურება მოხდა რკინის გზის ლიანდაგზე: ხრესილის რკინის გზის სადგურიდან თურმე მოდიოდნ ვაგონტით შეიღი კაცი, რკინის გზის მუშები და რაღაც მოქანდათ. ამავე დროს გელათის სადგურიდან გაეშვათ ორთქლით მატარებელი ერთ მოსახვეში სოფ. კურსებში დაეჯახნ ვაგონტი და ორთქლით მატარებელი ერთი მეორეს; სამა კაცმა ვაგონტიდან გადასწრო, ერთი კაცი დაშავდა და სამ კაცს: ქათამაძეს, ბუბაშვილს და ბასილაძეს იქვე სული გააფრთხოზო; საცოდავით დაითლიშენ საწყლები. ორი მათგანი წერილი ცოლშვილიანები იყვენ.

\* \*

დიდი წყლობის დროს სოფ. რგუნაში (ოკრიბაში, ქუთაისის მაზრა) უბედურება დაატყდა ორ მოსახლეს: წყლობისა გამო მიწა ჩაწყვეტილიყო სახლებ ქვეშ და სახლკარა, ადამიანის სულს გარდა, ჩანთქმულა მიწაში.

\* \*

ქალაქ ყარსიდან მოუვიდა დედათა სასწავლებლის დამაარსებელ კომიტეტს ოცი თუმანი, რომ მომავალ სკოლაში დაარსდეს სტიპენდია თ. რაფიელ ერისთვის სახელობით. რასაკვირველია ეს ფული მციოჩეა, მაგრამ მოთავენი ამ საქმისა გვირდებთან (ჩხილე „ივერა“ № 8) სტიპენდიისთვის საჭირო თანხის მოგროვებას. ყარსის ქართველობას არა ერთხელ გამოუჩენია თანაგრძობა ქართველ დედათა სკოლისათვის ფულით და ლატარიისთვის ნიუტების შეწირვით. აქ არ შეიძლება არ ეიგულისხმობთ ის, რომ ქართული სკოლის დაარსების საჭიროებას უფრო მეტათ გრძნობს პროვინცია, სადაც ქართული სკოლა არ არსებობს და, თუ ქალგიკ არ იქნებთან შეილებს აღსაზღვლათ მომხადელებულნი, სამარის კარებს მივახწვეთ.



## საყურადღებო ამბები



ანჯა. 27 იანვრისათვის განჯის ქართულ საზოგადოებას განზრახვა აქვს გამართოს წლევეანდელი წყალდიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ ქართული საღამო.

ამ საღამოზე წარმოდგენილ იქნება რაჟიელ ერისთავის კომედია „ბიძისთან გამახუმრება“ და კოტე ყიფიანის ვოდვეილი „დატრიალდა ჯარა“; დადგამენ ვეფხის ტყაოსანიდან სხვა და სხვა ცოცხალ სურათებს; ადგილობრივი სიმღერის მოყვარულთა ხარო იმღერებს ქართულ ხმებს და ბოლოს გაიმართება ეროპოული ცეკვა-თამაში. განჯის მთელი საზოგადოება, დიდი თუ პატარა, ხალხ-სინობის განუჩრეცლათ, მოუთმენლათ ზოგლის ამ სასურველ საღამოს. ვაშობო სასურველს მისთვის, რომ ავერ ორი წელიწადია, რაც აქ ქართული საღამოები იმართება და ადგილობრივი საზოგადოება ყოველთვის მეტად ნასიამოვნები და კმაყოფილი დარჩენილა. განჯაში ერთადერთი ქართული საღამოებია, რომელიც დიდად ხალხს იზიდავს და, მაშასადამე, მომავალი საღამოს მეთაურთა პირდაპირ მოვალეობათ უნდა ჩაითვალოს, რომ ეს საღამო რიგაწინათ იქმნეს მოწყობილი, რათა ადგილობრივ საზოგადოებას იმედები არ გავეტრუოთ და მით მომავლისთვის უფრო და უფრო მეტი სიმპატია და თანა-

გრძნობა მოეუპოვოთ იმ კეთილ განზრახვას, რომლისათვისაც აქ ჩვეულებრივ იმართება ქართული საღამოები. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ წლევეანდელი ქართული საღამოს გამგე ქანი ალექსანდრა გიორგის ასული ყანაველისა და ამასთან ერთად საპატია კომიტეტის წევრები ბ.ბ. ალექსანდრე სარაჯიშვილი, მიხეილ ფურცელაძე, ალექსანდრე ხუციშვილი, ფანაოზ კიკნაძე, სოლომონ მაჩაბელი და ნიკოლოზ მკვლდიშვილი არავითარ შრომას არ დაიშურებენ მათდამი საზოგადოებისაგან ერთხმად მინიჭებულ უფლებათ ქეშმარიტ საქმეთ გადაქცევისათვის, და წლევეანდელ საღამოს იმ დიდ ელფერს დასდებენ, რომელიც ყოველთვის და ყოველგან საქირაა ისეთ ქვეყანაში, როგორცაა განჯა, სადაც საზოგადოთ ქართველზე და ქართველობაზე მაინც და მაინც ბევრა ცნობები არა აქვთ. ყოველივე ეს ქალბატონ ა. ყანაველისას და საპატია კომიტეტის წევრებს კარგათ აქვთ შეგვრებული და, მაშასადამე, იმედი უნდა ექიანოთ, რომ 27 იანვარს განჯის საზოგადოებას მიეცემა წელიწადში ერთხელ მაინც დატკბეს ნამდვილი საღამოს ხილით, სწორეთ იმ ხასიათისა და იმ დაგვარი მიმართულებისა, რომელსაც არა ერთხელ ასე აღტაცებაში მოუყვანია მთელი რუსის საზოგადოება პეტერბურგში და მოსკოვში.

ა. ყუმისთაველი.

## მატიანესავით.

Fiat lux!



არსული წლის ენკენისთვის 11-მა და ღვიწობისთვის 22-მა მოგვხიბლეს, დღი იმედებიც გავვიღვიძეს. ამ აღტაცებაში ვიყავით, რომ ღვიწობისთვისაც უკანასკნელმა რიცხვეთა საშინელი უბედურება დაგატყნა თავს.

არა-ჩვეულებრივმა წყლობამ მთლათ გაანადგურა კარგა დიდი ნაწილი ჩვენი ბედურული ქვეყნისა და მით თითქოს გავიქარწყლა სიამოვნება და მხიარულება იმ ორ მოვლენის გამო შეძენილი. მწუხარება მით უფრო გაგვიარკვედა, რომ დაეტყვეთ ჩვენს საზოგადოებას მომავლენებელი გულგრილობა დაზარალებულებისადმი.... ისის იყო ჩვენ

გესურდა დაგვეჩქმა 1895 წლისათვის სახელი „საბედწა“ და უკმაყოფილოთ გავვესტუმრებო „წილისა შინა აბრაამისასა“, რომ განსვენებული წლისაც ბოლო დღებმა ერთი სანუგეშო და სასიხარულო რამ შეგვიძინეს და ცოტათი მაინც გავვიწყლეს სხენებული ვარამი... ჩვენ ვაშობოთ ახალ ქართულ გიმნაზიზე, რომელიც საშკოლი საზოგადოების კრებამ გადაწყვიტა ექიანიოს მომავალი სააკადემიო წლიდან. ყველა სიხარულით მივგება ამ საიმედო საქმეს, მხოლოდ ჩვენი ერთადერთი ყოველ დღითი განხეთის მიმომხილველმა, განზრახულ უნებლიეთ, გამოტოვა თავის მიმოხილვიდან ეს ჩვენი უფერულ ცხოვრებაში საყურადღებო და მრავალ-მნიშვნელოვანი მოვლენა, თუმცა წარსული წლის ცხოვრებას უშველემელი მეთაური წერილი უძღვნა, ამ წერილში ბ. მიმოხილველი გვიამბობს

1895 წლის შესანიშნავი წამების შესახებ, მაგრამ ისე უგემურათ და უღვაწათთ, რომ გვეგონებოდათ მოწიფე უმწიო და უხეიროთ გახეპიარებულ გვეკეთილეს მოკეთისძრობით. ვახეთისაგან უყურადღებოთ დატოვებული გიმნაზიის დაარსების საქმე იმდენათ მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რომ ჩვენი აუცილებელ საკურობებთან მიგვაჩინა შეეჩერდეთ არა მარტო მასზე, არამედ თვით იმ საზოგადოების კრებაზე, რომელმაც ეს საშვილოშვილო საქმე გადაწყვიტა. გულ-წრფელათ უნდა აღვიაროთ, რომ ამ გვარი საინტერესო და საპირისპირო საგნების განმხილველი კრება ჩვენში ძვირათ შედგება ხოლმე. შეეუდგეთ ჩვენ გზას...

ის ორი საკითხი, თუ რა სახე ჰქონდა აწინდელ სათავადაზნაურო შკოლას და გადაკეთდეს თუ არა სრულ რვა კლასიან გიმნაზიათ- დღი და ხანა ძლიერ აინტერესებს ჩვენს საზოგადოებას, არა ერთხელ ატეხილა სჯა-ბაასი ამის შესახებ, ბევრი კრება შემდგარა ამის გამოსარკვევათ, მაგრამ ეს საკითხები მხოლოთ წარსული წლის ქრისტიანობისთვის ოცდა სამს ვერცა გადასაწყვეტათ. ჩვენ კარგათ ვეხსივს, სწორეთ ის მოვალეობა, რომელიც 1893 წ. ატვირთეს ცალკე კომისიის (შკოლის შინაურ მოწყობილობის და პედაგოგის მხრით გაუმჯობესების კითხვებს გარდა)—მინდობილი ჰქონდა იმ გამგე კომიტეტს, აწინდელის წინაშეაღვიღეს, რამელსაც თავ მჯღომარებოდა ლუარსაბ მაღალაშვილი, გვახსოვს ისიც, რომ მაშინ კომიტეტმა საჭირო კითხვებს განსახილველათ მოიწვია ბევრი ძალადნ და სსარებოლი პირი. ამ შეერთებულ ძალათ კრებამ დაასკვნა სწორეთ ისევე, რაც უკანასკნელმა კომისიამ წარუდგინა ქრისტიანობისთვის მომხდარ კრებას. შეუდარეთ „რეზიუმე“ ამ კომისიისა წინანდელი გამგე კომიტეტის დაგვიწილებას და დაწმუნდებოთ ჩვენი სიტყვების სიმართლემეო, თითქმის კომისიის აწინდაბარ ვადმოუღია კომიტეტის ნაშრომი იმ განსხვავებით, რომ კომიტეტს სამშობლო ენაზე აქვს წარმოადგენილი თავის მოსაზრება, კომისიისა-კი—რუსულზე..

ამ კითხვებზეგე მოანდომეს 23-ს მთელი კრება. ბევრმა ილაპარაკა, სხვა-და-სხვა აზრი წარმოთქვა და როდესაც თავმჯდომარემეო, რაფიფე ეახებებმა, გადასაწყვეტათ ორი საკითხი წარმოადგინა,—კრებამ ერთ-მხათ მიიღო შემდგევი წინადადება—დარჩეს კლასიკური სახე და დაარსდეს სრული საშუალო სასწავლებელი, ე. ი. გიმნაზიაო. საშინელი ტაშის ცემა ატყდა. ყველა უტრავდა ტაშს—ისინიც კი, ვინც ორი წუთის წინათ წინააღმდეგი იყვენ გიმნაზიის დაარსებისა. რაღაც ჰინაოტიურმა ძაღმა შეიპყრო კრება. რა იყო ეს საერთო სიხარული? რა ჰგობდა

„ამ გრძნობას საერთო-ს, სანეტაროსა?“ ეს ეს არ იყო ნიშანი ჩვენი საზოგადოების გონებრივი მომწიფებინა-სა?. არ იყო ეს დამამტკიცებელი საბუთი, რომ საზოგადოებას დიდა ხანია უგრძენია გიმნაზიის დაარსების საკურობა? მაშ რათ დააყოვნეს ეს საქმე—აქამდის ხამ ექვსი კლასიკ გვექნებოდა? რა იყო ამის მიზეზი?.. აღწყველოლი გიმნაზია“ კინაღამ დაწერა პაუხათ კაოამმა, მაგრამ ამ სვედის მომპკრეული საკითხის გადაწყვეტა ჩვენი მკითხველის მიუდგომლობისა და მიუფერებლობისათვის მიგვიწდვია. ჩაფიქრების ღირსია, დამერწმუნეთ!..

მაგრამ, რას ვამბობ, როგორ მოვა ჩვენი სიხარული იმ ორი კაცის სიხარულთან, რომელთ სახელებიც მქონდოთ ამის დაკავშირებელი ჩვენი სასწავლებლის ისტორიასთან. ერთია—წელში მოხრილი მოხუც, კახუტური ტრუვალებით აღტანებული ყოველი საზოგადო საქმისაღმი... ძველებურა მტკიცე ხსიათას მექანე, ახალი აზრებით შეტყურეული,—ზის ეს კეშმარიტი მამულიშვილი თავის ოთახში და აქედან ვაფუცოცებით თვალ-უყრს ადევნებს ჩვენი საზოგადო ცხოვრების მიმდინარეობას, ტანით უძლიერი, სულით ძლიერი, იგი მჭიარულია, როცა ჩვენი საზოგადოება მჭიარულებს, იგი წუხს, როცა ის შეწუხებულია. მაგრამ ბედნიერა მოხუცი უფრო დახვარის თავის პირში შვილს—სათავადაზნაურო შკოლას. სურს მისი „გავიმნაზიება“, სურს მიტოვ, რომ მას რწამს: მხოლოთ ჩვეს გიმნაზიაში, სადაც აღწრას უფრო მეტს უტრავლებს, მაქცივენ ეღერე სხვაგან, რაგანიანთ გამოაზრდება მამულის მოყვარული ახალგაზრდა. მას რწამს აკრთევე, რომ სასწავლებელს—ამ ოჯახის სუროვატს, რომელიც ოჯახის მაგიერობას გვიწევს, ა მხრით უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ამიტომაც სურდა მას ყოველთვის დამოთერება ამ დიდებული საქმისა. მაგრამ... ჩვენ... მზარმა უდღებოლით?. ხელს ეუწყებელით?.. პირიქით ჩვენ გულ-ცივათ, ეუყურებდით ყოველი მისი ბოჯის გადადგმას განხორციელების გაზახე.

მეორე—მაღაუნეწურათ თავისიანების ბარობით „გადახმეწილი სხვა-მზარეს“, რამელიც ოდესმე თავის საყვარელი შკოლის შესახებ ყოველი ამბის გავონებახე „სტატა წევრზე წვეთ-წვეთათ ცრემლსა აფრქვევდა მდღურადეს“—ვაი თუ საზოგადოებამ ევრ შვიგნას, დაუფეროს „მტრე-მოყვარეთ“ და აწინდელი სახის გამოცეკვა გადაწყვიტოს—მაშინ ხამ დაიღუპა ეს საერო საქმეო... ვამბობთ, როგორ შეეძლებოთ შეუდარათ ჩვენი სიხარული, ჩვენი აღტაცება ამ ორი კაცის სიხარულს, მათ აღტაცებას. ბევრია დამნაშავე ამთ წინაშე! გამარჯვება ამ აზ-

რისა არის ამ ორი მოღვაწის გამარჯვება! მიუფლო-  
ცით!..

მადლობა ღმერთს!.. საქმე, ხომ, ახლა გამო-  
იჩვენა. ხმა ღვთისა და ხმა ერისაო, ნათქვამია. სა-  
ზოგადო კრების გადაწყვეტილება, ისიც ერთხმეი,  
ყველასათვის კანონია; მაშ ვის შეუძლია ჩვენში  
წინააღმდეგ ამის განხორციელებას?.. ჩვენ სიხარუ-  
ლით ვეგებებით იმ კრებასავე შეწყნარებულ აზრს,  
რომ, რაც შეიძლება მალე, გავანთავისუფლოთ და-  
ღვთისაგან საშკალო საზოგადოების მამულები და  
სათავად-აზნაურთა ქარვასლაც და ამ გვართ ამ მამ-  
მულების შემოსავლით მოეფუშადოთ ის „შკოლის  
შეუწყვეტელი წყარო—სამუდამო ფონდი“, რომელ-  
ზედაც ზრუნავდა ისევე ის წინანდელი კომიტეტი.

რაც შეეხება, ყოველ-წლით კლასის მომატე-  
ბას, რომ სრულ გიმნაზიათ გადაეცემათ ჩვენი  
შკოლა, ჩვენი აზრით ამისათვის უსათუოთ უნდა  
გადაიღვას საზოგადო საჭიროებნათვის დანიშნულ  
თანხიდან ფული. საქმის განხორციელებას ახლავე,  
მომავალი საკადემიო წლიდანვე უნდა შეეუფლებეთ.  
გვეყო ცდა!..

ახლა ენახათ, რა შეგვიძინეს კლასიკური შკო-  
ლის უარ-მოუფეთო, რაში დაგვარწმუნეს ამ „მეურ-  
ნობის მოტრფიალეთ“, როგორც შევნივთათ უწო-  
და კრებაში გიორგი დეკანოზიშვილმა ჩვენ „აერო-  
ნომებს“. მაგრამ, რას ვამბობ, დაგვარწმუნებ?...  
ესენი არც ეცოდნენ იმ ბრალდების აშროგ-  
ბას, რომლითაც მიმართა მათ ერთმა გულ-ახალიმა  
ორატორმა.

„ყმაწვილებო, თქვა დაახლოებით, სხვათა შო-  
რის, ამან, თქვენ ქაღალდებთ ჩვენი გაჭირებული ცო-  
ნომიური მდგომარეობის გამოკეთებას საშუალო  
სამეურნეო შკოლების დაარსებით მაშინ, როდესაც  
თქვენ თვითონ, უმაღლეს საყურენეო სწავლა დაითა-  
ვრებულთ, ქარც მამულების პატრონთ, ქალაქში  
მოგიყრიათ თავი და მოხელოებთ?... ანა, ბატონებო,  
ჩვენ განსაკუთრებულ მდგომარეობას ყოველ-მხრივი შე-  
სწავლა უნდა და ცალიერი შკოლებით ეერას გა-  
ეწყობათ!..“

ასეთი იყო მწვეცი საყვედური ჩვენი „აგრონო-  
მებისადმი“ მიმართული მხეილ მანაძის მიერ.  
ყველას ეგონა გიმართებოდა კამათა, ბასი მეცნიე-  
რულ საფუძველზე დაყარებული, გვეგონა შევი-  
ტყობდით, რთი შეიძლება ჩვენი საზოგადო ტე-  
ცილების დაამება. მაგრამ... „არსიდან ხმა, არსით  
ძახილი“ საოცარი დღემილი იყო ამის პასუხი. გვი-  
ანაც ეიყო, ღვთის წინაშე! ბევრმა გამოაცხადა  
სურვილი ბასი გადადებულიყო მეორე დღისათვის,  
მაგრამ, სამწუხაროთ, თავსჯდომარემ კენჭი უყარა  
ამ „საკითხს“, რომლის „გადაწყვეტას“ უბრალო

თავიანობა მოითხოვდა. უმრავლესობამ მოისურვა  
ახლვე გადაწყვეტსო. აი, მიხეზო, რომ ზოგიერთებმა  
დასტოვეს კრება. ერთმა გაზეთმა, რომელსაც მხო-  
ლოთ ისლა ახსოვს, რომ ყოველ საზოგადო საქმეში  
რაიმე „პარტული“ ინტერესი გამოეჩინოს, აქაც  
ამ ყოველას ამხსნელ „პარტიობას“ დაბრალო,  
თუმცა კი დარბაზიდან გამოვიდნენ ისინიც, რომელ-  
ნიც არავითარ დასაბრძოლი მონაწილეობას არ  
ლებულავენ, გამოვიდნენ ისეთნიც, რომელნიც, წარ-  
მოიდგინეთ, თვით იმ გაზეთის მოტრფიალენი არიან.  
ამაო ძებნაც ამას ჰქვია!..

მერე რა გადაწყვეტის იმათ, ვინც დარჩენ კრე-  
ბაში?... ისინი თვით საკვანის გამორკვევს კი არ შე-  
უდგენ, თუ რამდენათ აუცილებელია ჩვენთვის ამ  
კამათ სამეურნეო შკოლის დაარსება, არამედ აიღეს-  
დიდეს და პირდაპირ კომპისის მიჩენეს, რომლის  
წევრებიც მხოლოთ მეორე დღეს აარჩეს. უმჯობესი  
არ იქნებოდა თვით საკითხიც მეორე დღეს განეხი-  
ლათ, რადგანაც ამგვარ საგნების საუჯარო განხილ-  
ვას უფრო სასარგებლო შედეგი მოსდევს, მით უფრო,  
რომ ამ საკითხის გადასაწყვეტათ საჭირო მასალა  
ხელში გვერნდა და მხოლოთ გესურდა ორი მოწი-  
ნალმდევე გჯუფის კამათობა მოგვესმინა. კარ-  
გი კი იქნებოდა ეს პრინციპიალური საგანი თვით  
კრებას განეხილა! მაშინ ადვილათ დაინახავდა კრება  
იმ პირების უსამართლობას, რომელნიც პირადობას  
წამებდნენ ყველა იმას, ვინც ილია წინამძღვრიშვილის  
შკოლისათვის ხუთასი თუმანის გადაღების წინააღ-  
მდევი იყო ხოლმე და წყალში გადაყრიალათ მიახნდა.  
აი, მაგალითათ, რას გვითხულობთ იგანე ანდრონიკა-  
შვილის და არტემ ფირალოვის სამეურნეო საშუალო  
შკოლის შესახებ დაწერილ მოხსენებაში (იმედა,  
ამათ ეერ დაწამებენ წინამძღვრიანთ-კარის შკოლის  
მეტრობას; ესენი ხომ, არიან plus royalistes, que  
le roi):

„Если такой (средней) руководящей школы въ  
краѣ не нѣтъ, то всякая низшая сельскохозяй-  
ственняя школа съ программой преподаванія по всемъ  
отраслямъ сельскаго хозяйства не можетъ удовлетворять  
своему назначенію, а подчасъ даже пропагандировать  
убыточные приѣмы. При отсутствіи у насъ сельско-  
хозяйственныхъ учебныхъ заведеній средняго типа, суще-  
ствующія низшія школы въ учебномъ отношеніи прину-  
ждены вторгаться въ область теоріи, въ область не-  
понятную для учениковъ этихъ школъ, вслѣдствіе не-  
достаточной ихъ общеобразовательной подготовки, а по-  
тому существующія низшія школы рѣдко даютъ сколько  
нибудь хороша подготовленныхъ работниковъ  
(набѣт. а. андроникашვილის წინააღმდეგ, გვ. 10).“  
სეცე ლაპარაკებენ ისინი, ვინც მეცნიერული

იარაღით შეჭურვილან... თუ ასეთია, მართლაც, საზოგადო აზრი მეცნიერებისა სამეურნეო დაბალხარისხის შკოლებზე, მაშ რა უნდა ეფიქროთ ჩვენი წინამძღვარიანთ-კარის შკოლაზე?... გეპასუხეთ ვადაჭრიო!... ნუ თუ ამ დასტამბულ სიტყვებს შემდეგ კონტროლის დანიშნვის წინააღმდეგი კვლავ ვინმე გამოჩნდება—იმ კონტროლისა, რომელსაც—ეს კარგა ხანია—ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი თხოვლობს ხსენებული შკოლის საქმის საზრიათ ნიადაგზე დასაყენებლათ, თუ შეიძლება კიდევ, რასაკვირველია. საზოგადო საქმე საჯაროთ მართეთას თხოვლობს!...

საქალებო სასწავლებლის საქმე?!... ევც დავიანდა, რაღაც ნისლით არის მოკული. ჩვენც ევერთდებით იმ მწარე საყვედურს, რომელიც გამოთქვა კრებაში ან. წერეთლისამ. ეს სასწავლებელი ჩვენ უფრო საქიროთ, უფრო სასარგებლოთ მიგვაჩნია, ვიდრე სამეურნეო ამ უკსკენელზე ზრუნვა სულ მეტია, რადგანაც, დღეს თუ ხვალ, თვითონ მართებლობა გავიხსნის მაგვარ სასწავლებლებს, ჩვენ კი ჩვენი დატაკი ჯობით, რას გავაეთებთ?.. შემტდარი იქნება ყველა ის, ვინც ჩვენი სიტყვებიდან იმ დასკვნას გამოიყვანს, ვითომც სამეურნეო განათლების წინააღმდეგეკადაგებდეთ; ჩვენ მხოლოთ ჩვენი ნიეთიერი შეძლების მხრით ვსჯით დ გამბობთ: „საქალებო შკოლის დაარსება უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის ამ ხანათ და აუცილებელიც“. ამგვარ სასწავლებელს არაიენ დავიარსებს. ზოგიერთი პირების დაქინების წინააღმდეგ, ეფიქრობთ, რომ ჩვენი სათავად-აზნაურო შკოლიდან გამოდიან მეტათ ზრდილობანი, მეტათ შეიღობიანი ხსიათის მეკონე და სამშობლო ენის მკოდნე ეშაწელები. ყველა ემადლიერება მათ; ისინი სასარგებლო ელემენტებს შეადგენენ ყველგან, სადაც კი ცხოვრება თავს ამოაუაფიებს. ეს არის საზოგადო აზრი საეკო შკოლის შესახებ, სადაც სწავლა მოწყობილი და შეფერებულია სახელმწიფო გიმნაზიის მოთხოვნელებისამებრ. ადვილათ წარმოსადგენია, ახლა, რამდენათ უფრო კარგათ, უფრო მეცნიერულათ შეიძლება სწავლა-აღზრდის საქმის მოწყობა საქალებო სასწავლებელში, სადაც ატესტატ-დიპლომებზე\* ფიქრი არ იქნება სრულიად. იმ საფუძვლიანმა საყვედურმა, რომელიც დღე-დღეობით გაისმის ჩვენი ქალების მიმართ და რომელიც

ნათლათ, თუმცა მკაცრათ, გამოხატა ამ დღეებში „მოამბეში“, უნდა გავეფიქრობოს ამ საქმის, რაც შეიძლება მალე, განზოროცილება. მივეშველოთ ჩვენს დაქტულ ოჯახს! მომავალი წლიდან გავხსნათ მოსამზადებელი კლასები ქართული საქალებო სასწავლებლისა!.. შემოწირულებაც მაშინ, როგორც დაწყებულ საქმეს, უხვით მოაუგროვდება.

დაეუბრუნდეთ ისე ზემოთ მოხსენებული კომისიის აზრს, შკოლის პედაგოგიური მხრიო რეეზიზაზე წარმოთქმულს. რა გამოიჩქვა ამის შესახებ საზოგადო კრებაში? ბერი არაფერი... მხოლოთ რაღაც საშინელმა ექვმა გავიეღევა თაშვი: ეფიქრეთ, ნუ თუ, როგორც გვარწმუნებდენ კრებაში, პირადობის ბრალია ყველა იქ დასტამბული მოსამზადებელ კლასებში ქართული ენის და სხვა საგნების ცულათ დაყენებული სწავლებლის შესახებ? ექვი კი იმან დავიბადა, რომ რეეზიზა ყოფილა დანიშნული თიბათეში სადამოს მაშინ, როდესაც ბაშვებს ეძინებოდათ, თურმე. შეეიტყეეთ ისიც, რომ სარეეზიზიოთ მხოლოთ ერთი გარეშე მასწავლებელი ყოფილა მოწყეული, მოხსენება კი გვარწმუნებს, რომ „რამდენიმე გამოკდილი მასწავლებელი დესწროოა“; საღეთო რჯულში, თურმე, სრულეობით არ ყოფილ დანიშნული გამოკდა, მოხსენებაში კი დასტამბულია, რომ „ყველა საგნების სწავლება საშუალოა, გარდა საღეთო რჯულისა, რომელიც რიგიანათ არის დაყენებულიო“ (იბ. გვ. ვშ მოხსენებისა) და სხე ჩვენ ყველა აშხე ვადაჭრით ევრაფერს ეიტყეით და მოეუცლით გამეე კომიტტის და შკოლის პედაგოგების „რჩევის“ ვადაწყეტილებას, რომელთაც კრებამ მიანდო კომისიის მიერ აღძრული საპედაგოგო საკითხების გამოკყეევა. სასურველია, რომ ყოეღეთის, ამეგარ საპედაგოგო საკითხების გარჩევის დროს საზოგადო კრებაში შკოლის პედაგოგების კრებულის აზრი მოეისმინოთ ხოლმე. საქიროა მოეუპოვოთ ამ პატეეცემულ კრებულს შკოლის საშინაო საქმებში (საპედაგოგოში, რასაკვირველია) უფრო მეტი ავტორიტეტი და უპირატესობა. თუ ისე იქნება საქმე დაყენებული, როგორც ახლა გიმნაზიებშია, სადაც ხშირათ მარტო ერთი უფროსის სურვილა და აზრი აბათილებს მთელი კრებულის ვადაწყეტილებას, მაშინ, უსათუოთ, საქმე ეერ მოგეწყობა რიგიანათ. უნდა გეახსოედეს,


არამ ეს კრებული კოლეგიური დაწესებულებაა. ამ პრინციპს პატივი უნდა ეცეთ... უკეთეს მასწავლებელთა კრებული არ წარმოადგენს ხალხმე თავის დასაბუთებულ აზრს, ჩვენ ყოველთვის იმ მწარე ფიქრებით გამოვალთ კრებიდან, როგორც ქრისტიანობისთვის 24-ს წამოვედით, როდესაც კრება შკოლის საპედაგოგო მხარეზე კომისიის მოხსენებას შინაგულა... გავათავეთ...

მიკობევილი შენიშნადა ჩვენს ნაწერში ნადვლიან კილოს. „ნუ შეგერისხამს კადნიერსა!...“ ყველა ზე-

მით თქმული—ჩვენი გულის ნადვლია, ჩვენი გულის პასუხი და ამიტომაც, შეგვიძლია ეს მეტად გავრძელებული წერილი ჩვენი საყვარელი მგონის ჯერ დაუსტამბველი სიტყვებით დაეთავოთ:


აჰ, სახე მოადრეულად,  
უპირაბადა, სწორამსატყეადი  
მისი გრძობის, ვისაც გული  
აჩს კეთილის გამძრახველი.

გულ-გატეხილი.




პროფესორ პერინის პლანეტარი.

**პ**ეველებრივი საათი მხოლოდ დროის მაჩვენებელია. მაგრამ ამას გარდა საჭირო იყო ისეთი საათებიც, რომელთა უნდა ეჩვენებიათ მზისა, მთვარისა და სხვა ცთომილთა მიმოსვლა, მოძრაობა. ბევრგვარიც არის ასეთი საათი ერთი უძველესი საასტრონომო საათი აღეს დაკუთლია პარაქში, წმ. ეენევიევის წიგნთ-საკაეში. ეს საათი გამოიგონა ლე მომართა მათემატიკოსმა ორანსუინემ. მეორეც მეჩვიდმეტე საუკუნეში გამოიგონა ასტრონომმა გოლგენსმა. მაგრამ ყველა ამ სასტრონომო საათებს პროფესორ პერინის პლანეტარია აღემატება სიდიდით, მოართულობის სისრულითა და იმ სისწორე-სინამდვილით, რომლითაც ის გეჩვენებს მზისა ლე ცთომილთა მიმოსვლას. ეს პლანეტარია წარმოადგენს 3 მეტრის (4,2 არშინის) სიმაღლე ოთახს. შეიძლება თვით პლანეტარში შევიდეთ, ცოტა თავდახრით შეხვალით თუ არა, თავს ზევით შეამჩნევთ ლაქვარდ ცას, რომელიც ვარსკვლავებით არის მოჭედული. ეს ვარსკვლავები ბურთებით არის ნაჩვენები, ხო-




პროფესორ პერინის პლანეტარია.

ლო 9 დიდი ბურთი მათ შორის არის გამოსახველი მზისა, მთვარისა, დედამიწისა და სხე. ეს ბურთები მიდი-მოდიან და მოძრაობენ სწორეთ ისეთ ნაჩათვე, როგორც თვით ცთომ ლები. საკვირველია სინამდვილე და სისწორე ამ პლანეტარისა. ამ შესანიშნავ პლანეტარის გაკეთებას პერინიმ მოანდამა შეიდი წელიწადი განუწყვეტელი და ბეჯითი შრომა და 70,000 მან.







ორთქლით მატარებელი, რომლითაც გადააქეთ გემები პანამის ყელზე.

## მთვარის ხალეები

(ლექანა)

(გუბლენი ჩემს მგობაჲს ს. ი.—ელს)

(დასასრული \*)

## IV.



აპკეკრა მნათობი ბრძოლის ევლს—  
თაის წყლიანი თვლითა,  
მტრის ჯარში ამჩნევს ქართველთ  
რაზმს,

მარჯვეთ გზის მკაფავს ხმალითა.  
ხედავს სისხლს, ლეჩათ მიმავალს  
ღრმა ნაპრალებში, ყოფ მთებში,  
მტრის ჯარს ზურგს აქცევს და ქართველთ  
ჰკოცნის სამოთხის ტუჩებში.

— „აქეთ, შეიღებო — იძახის —

გზა გაუნათეთ გმირებსო  
და დაე ბნელი ჰუკრავდეს  
მაგათი მტრების პირებსო!“

და სხიენი ნაზის ციმციმით  
ქართველთ წინ მიუძღვებთან,  
და მათ ხმლებს, მარჯვეთ მოქნეულს,  
ტკბილ კოცნით ზედ აღწებთან.

მაგრამ ბევრია სპარსელნი,  
ბევრია მტერი სახოცი.

თითო ქართველზე ისინი  
თითქმის მოდიან ასოცი.

და ჩენი ჯარი მცირდება,  
გმირებს გმირები აკლდება;  
ყველა ქართველი მტრის რაზმებს  
თავ-განწირულთ აკვდება.

გული მიუღის ტკბილ მნათობს,  
უკრთება სახე წყაზარა,  
ხედავს, რომ ქართველ ჯართათვის  
არსით საშველი არ არი.

მაგრამ შეირყენ ჯარები,  
დასცეს კიჟინა ზართთა.

წინ წარდვა ეილაც უბუჯი  
ამოღებული ხმალითა.—

შეჰკივლა: „ხმალი, გმირებო,  
სიკვდილი ქართველთ მტრებსაო!  
ნუ შევეყრებით პირ-შავათ  
ჩენს ძლიერს წინაპრებსაო!

ქალი ვარი! გვერდით გიდგვივართ, ქართველი  
სახეობა  
სისხლით ერწყაეთ თქვენთან ჩენც ველსო;  
დაე სენოს, მტერმაც სამშობლო  
ეთი ჰყვარებია ქართველსო!“ —

— თქვა და მტრის რაზმში შევარდა...

ელეტა შეიქნა საზარა;  
ორთავ ჯარების მკვლრის ვუნდმა  
უხვათ მოჰფინა მთა-ბარი...

ჰყრიან სპარსელნი დამწყდარნი,  
დაპკეკრს მათ მტრედის ფერი ცა...

მაგრამ არც ქართველთ ჯარების  
არ დარჩა მეთოხნელიცა.

ინც დარჩენ, ისევ ხელ-მარჯვეთ  
აბრალილებენ ხმალ-შუბსა,

რომ მოსპონ სრულათ მტრის რაზმი,  
რაც კი გადურჩა მწერ ჩხუბსა.

და მთვარე — მალღით მათ თავზე  
გადმომცქერალი ვულთა,

ამ გამარჯვების ხილვანზე  
ცრემლსა ღერის სიხარულითა.

სხიეებს უძახის: დაპკოცნეთ,  
დაპკოცნეთ გმირი ჯარო,

მაგათ მკლავების ძალ-ლონე  
ღეთისგან ნაკურთხი არიო,

ოჰ, რათ არ ძალ-მიძს მანდ ეიუო!..  
მეც რათ არა მაქვს ეს შნოო,

რომ მანდ მოვიღე და მაგათ  
გულ-მკერდი მოვეუკოცნო!

ბევრი მოაკლდა მაგათ რიცქეს,  
მოშორდა საწუთროსაო,

მაგრამ იმათი სახელი  
იცოცხლებს ყოველ დროსაო!“

და ბრწყინავს ცაზე მნათობი,  
უღიმიის პირი ნათელი,

ზნარობს, რომ თავისუფლებას  
არ ჰკარავს მისი ქართველი.

მაგრამ რალაც გამოჩნდა  
მთის ძირს, შორეულ მხარესა —

და მისმა ნილემ უცქალა  
ფერი პირ-ნათელ მთვარესა.

მტერი დაეცა ქართველთ რაზმს,  
ჯარი მოატყდა ახალი,

უხვათ მოჰფინეს გორები  
და მთის მწვერვალნი მალღით.

და მთვარე ქართველთ დასძახის:  
გასწიეთ, გაიქცითო,

გზას დაადექით მთებისკენ  
და მოგინათებთ მე ცითო:

მტრის ჯარი მოდის უზღვევი,

მოიგრავენბა მთებითა,  
 ნუ შეეყრებით, ნუ მოამკლავთ:  
 ამაოთ ამოწყდებითო!"

—ამბობს და გული უკვდება,  
 ზედ ეფინება ნაღველი,  
 გრძობს, რომ ქართველთა მცირე რაჴმს  
 არსით არ ელის საშველი,  
 მაგრამ არ შედრკენ ქართველნი,  
 ერთს წამს შექუჩდენ ერთათა,  
 შექმახეს მამა პაპურათ  
 მტერს შეხვალენ მეხათა.

— „შეჩრდიოთ—ამბობს მნათობი—  
 ვერ სძლეეთ, ბევრია მტერიო,  
 მინდორზე აღარ ეტევა,  
 აივსო მთა და ტეერაო.  
 მაგრამ წინ მიეღენ ლომ-გულნი,  
 ქლუტენ და ქლუტენ თაარებსა;  
 ეაენი ლომურათ იბძვიან,  
 ქალწულნი ჰგვიანან აფორებსა...  
 ჰგლოვობს ზეცაზე მთოევარე,  
 ქართველთა ტირის მნახელი,  
 მის მეფურ სახეს სხივისანს  
 გადმოჰუნია ნაღველი;  
 სულ გაჰქობია იმედი,  
 იმედი, სულის გამთობი,  
 გული უქადის რალც ეუღს  
 და მიტომ მუნჯობს მნათობი.

— „რა ეუყოთ, დედა,—ამბობენ  
 სხივები, ახლოს მფრენები:—  
 მტერი ჯერ კიდევ ბევრია  
 და ილუპვიან ჩვენები!"

მაგრამ მნათობი ჩუმათ დგას,  
 წუხს ბედით განაწვალვები,  
 ფერი აღარ დევს ცოცხლისა  
 და მკედარს მიუგავს თვალვები...  
 გაწყდენ ჩვენები მტერთაგან,  
 არც სპარსთ დაჰყრიათ კეთილი:  
 მრავალი ჰყრა მათგანი,  
 ხმლით გულ-მკერდ ჩამოფლეთილი.

კოტა-და დარჩენ სპარსელნიც,  
 ებრძვისთ ორიოდ მთიული,  
 ლომებრ ომობენ და იმათ  
 დაცქერს მნათობი ციური.  
 დაცქერს და სახე ეცელება,  
 ეხვევა ისევ ნათელი:  
 ჰხედავს, რომ დაწყდენ სულ-ყველა,  
 დარჩა-და ერთი ქართველი,  
 და აცახცახდა მნათობი,  
 ავესო გული ღებნითა,

ზეცას მორესნა და ქვემოთ  
 ჩამოესენა ფრენითა.

გულზე მიიკრა მართოლაქმა  
 ეაჰ-კაცი კეთილ-ღლიანი;  
 შუქსა ჰუნეს, ჰკოცნის, ეხვევა  
 გმირს თვალვ-ცრემლბიანი.

ამბობს: მე ისევ ცოცხლდები,  
 გულში იმედსა ვჰკვებავო,  
 ერთი სპარსელი არსად ჩანს:  
 ჩენია გამარჯვებო!

ნათქვამი იყო: „ამ ჩხუბში  
 თუ რომ დავმარცხლეთ ჩვენ დღესო,  
 ქართველთა სამეფო მოისპოს  
 და სხვის ხელთ გადაეცესო!"

მტერი დამარცხდა ვერაგი,  
 ჩენსა გვხვდა გამარჯვებო  
 და საქართველო არსად ღროს  
 აწ აღარ მოისპობაო!"

ამბობს და ეაჰ-კაცს შეჭლიმის,  
 სურს, აფურინოს ცაზედა...  
 ამღროს იზუელა ისარმა,  
 ეაჰს მოხვდა ბეჭის ფთაზედა.

მტერი გამოჩნდა ახალი,  
 დაჰკრეს ნალარა, საყვირი...  
 მთვარე ავარდა, ატირდა  
 და დაიხოკა თვა-პირი.

ერთხელ ავარდა გულ-მკედარი,  
 მორატყა სახე კლდის პირსა  
 და ნახოკარი დააჩნდა  
 ლეთაბრივ ლამაზს მის პირსა.

მეორეთ მწვერვალს მთა-კლოდვენს  
 მკერდით დაასკდა საწყალი  
 და მისს გულს შავად დააჩნდა  
 ჰრილობა, როგორც ნაზრალი.

მისამეთ ეკლენს დედაც,  
 შავ-ბეღით განაწვალვები  
 და დებნიდა იმ დღიდან  
 სხივითა მფრქვეველი თვალვები.

შემდეგ ზეცისკენ გაბრუნდა,  
 ცრემლი საბრალოთ ჩაღვარა,  
 მთას დაათხია წვეთ-წვეთათ  
 და დაუსეგლა ქალარა.

გაულვა უკან ჰაერში  
 თავის მგობარა-მეფესა,  
 მზეს, სოფელ-ქვეყნის სულ-ჩამდგმელს,  
 სხივ-შუქთა მოიფეფსა.

მაგრამ ვერ ნახა ღღის მნათი,  
 ეღარ სცნო მისს გზა-კვალი  
 და იმ დღეს აქეთ ზეცაშენ

მარტოკა ლოდეს საწყალი.  
 პირზე აწნია ჭრილობა,  
 შეპყრობილს ჰვავს სენითა,  
 ზოვას და ხმელეთს დაუცერის  
 მუდამ ერთ გვაო წყენითა... —  
 ყოველთვის, როცა მნათობი  
 დადის უსაზღვრო ცხედა  
 და საქართველოს, ქირანანას,  
 გადმოადგება თავზედა, —  
 მყის წარმოიდგენს თვალის წინ  
 აქ ნახულს წუთებს მწარესა  
 და მაშინ შავი ღრუბლები  
 გარს ერტყმებიან მთვარესა.  
 ცრემლსა ღვრის მწარეს, გულ-დამწყვეს,  
 ჰგლოვს ქვეყნის აოხრებასა  
 და ქვემოთ გზაენის სატირლათ  
 თვის ფერ-მკრთალ სხივთა კრებასა.

სბიენი ტირიან თავ-დახრით,  
 ნაბრძოლარ ეელზე დნებიან  
 და მათ კლდე-ღრენი გულ-მკედარნი  
 მწუხარეთ ეუბნებიან,  
 რომ დღის მნათობი არ გეწეადა,  
 დღეს იყო უფრო წყნარაო  
 და ცის კამარა უსაზღვრო  
 მან ამ წამს გადაიარაო.  
 მისდევს მას ღამის მნათობი,  
 მისდევს და ევლარ ეწევა  
 წუხს და ეელს მისი ცრემლები  
 ცეცხლ-მარგალიტათ ეიხევა...  
 ზედ რომ დაღები აწინა —  
 ზოვს ასე გაუგონია —  
 რომ კლდის ნახოკნი არიან,  
 ბეერს კი ხალევი ჰგონია.

ვახელი

### სიახველი და სასოფლოო შკილა

ტერმინაში. \*)

**ს**ეტყვის დამუშავება სხვა-და-სხვა ალაგას სხვა-  
 და-სხვა ნაირად სწარმოებს. რკინის ჰგზის აბ-  
 ლო-მასლო მდებარე სოფლებში გამართულია სახერ-  
 ხი მაშინები, რომელთაც ამოძრავებენ წყლით, ორ-  
 თქლით და ელექტრონით. პატრონი, რასაკვირე-  
 ლია, კაპიტალისტი. ის ყიდულობს ხაზინიდან და-  
 თლილ ხეებს, ჩამოაქვს აქ, ახერხინებს მუშებს  
 და ფურებს გზენის გასასაღებლად, ვინ იცის სად  
 არა, გერმანიის ყველა ქალაქებშია საფრანგეთში,  
 ავსტრიაში და სხვა სახელმწიფოებში. სოფელი  
 გლეხი ამ ხერხის მაშინასა მუშაობს, ის ნამდვილი  
 დღის ქირის მუშაა. რაკი აქ ასეთი საქმე ტრიალებს,  
 ხალხიც ბევრი დასდევს თან. ასეთ ალაგს შეხედ-  
 ბით: მეჭარხნეს, მოვაჭრეს, მოხელეს, მუშას, და სხ.  
 ერთი სიტყვით, არეულია ერთად სხე -და-სხვა კლა-  
 სის და შეძლების პირნი. ამით ეს ქალაქს მოვაგო-  
 ნებს, მაგრამ ნამდვილი სოფელია. მცხოვრებთა  
 რიცხვი არ აღემატება ათას ხუთას სულს, სახლები  
 შეხედულებით ღამაზი და დიდრონებია. მრავალი  
 ქვის შენობაა. ეს, უმთავრესათ, შეძლებულით ეკუთ-

ენის. ზოგან ფაბრიკაც არსებობს, მაგ. ს. კალამბან-  
 ში ცივარის ფაბრიკა. მის გვერდით მეორე სო-  
 ფელში სასტამბო ქალღმის ფაბრიკა, აქ დამზადე-  
 ბული ქალღი ერთიანტ მტუტკარღში საღდება.  
 მუშებმა, როგორც ზეითი ეთქვი, გლეხობაა. ბეერ  
 მათგანს არ აქვს თავისი საკუთარი საღვამი, ნაქი-  
 რაებე სახლში სცხოვრებს. ესენი განსუფთრებით  
 შორეულ სოფლიდან ჩამოსული და აქ „დასახლე-  
 ბულია“ (თუ კი შეიძლება უსახლ-კაროს „დასახ-  
 ლებული“ ეწოდოთ). ამათი მდგომარეობა ადგი-  
 ლობრივ მცხოვრებთან შედარებით გაჭირვებულია,  
 უკანასკნელთ შეიძლება ჰქონდეთ პატარა ნაქერი  
 საზოგადოებრივი საზოგადოებრივი ადგილი, ჰყავდეთ ერთი-ორი  
 ძროხა, და სხ. ყველა ეს დღი შეღავათია მუშა-  
 კაცისათვის. შორიდან მოსული კი ამას მოკლე-  
 ბულია და არც ალაგი აქვს პარტუციის შესანახი,  
 რადგანაც საკუთარი საღვამი არა აქვს. ხოლო ამის  
 შეძენა ადვილი სათქმელია, შესასრულებელი კი  
 ძნელი. მუშები დღეში იღებენ არა ნაყლებ 3—4  
 მარკისა.

ამე თუ ისე ასეთი სოფელი შეძლებულ სო-  
 ფელად ითვლება, აქ ფული ტრიალებს. მცხოვ-  
 რებთა შორის შეძლებით დიდი განსხვავებაა და  
 ეს ყოველგან ასეა, სადაც კი აღზე-მეცემობას  
 მაგრად მოუკიდია ფეხი. ზემოთ განხილულ პირვე-  
 ლი რკინის სოფლებში ასეთ დანაწილებას ვერ  
 ვხედავთ, იმიტომ რომ ვინც კი ცოტა მეტს შეი-

\*) ახ. კალი № 53.

ქენს ქალაქში მირბის და იქ დგება. მას არაერთი ფულის შესაძენი საქმე არ იკერს თავის სოფელში, არაერთი სამწვეფელი და რაკ არ არსებობს. მშველენ-კაცთ გარდა, ვის რა საქმე აქვს იქ. ესენი კი თითქმის ერთნაირ ეკონომიურ პირობებში იმყოფებიან. მეორე გჯგუფის სოფლებში ეს ერთნაირად მებრუნებულა. თუმცა ღარიბ-მდიდარი ერთმანერის გადაკვიდვბა, მჭარა სოფელი საერთოდ მინც შეძლებულია. სოფლის სამკო შემოსავლის დაკვალი იღებს გადასახადს, მაშასადამე ეკარ-კაპიტალიტები მესხ იხილან და ხმარდება სოფლის საქირებებს. აქ არის შევნიერი შკოლა, გაკიმული გეგებერთა შენობაში, ოთხი ხუთი. მასწავლებლით და ყოველივე სამკოლო სამკაულით შემკობლი; დიდი სასოფლო სამართველოს სახლი, წმინდა ქუჩები გაირაღენებული ნებით, გაზით და, ასე გასინჯეთ, ელექტრონიტა. სოფლის იაფად შეუყვია საელექტრონი მართულის გაყვანა ისეთი ქარხნიდან, აქ არის უკვე ელექტრონი ხმარებაში. სულ სხვა სურათს წარმოვიდგენს ეს სოფელი, რომელიც რკინისგზიდან დაშორებულია. აქ მრეწველობის კვალი არ არის. აქაურ გლენ-კაცის ცხოვრებაში ფულს ისე დიდი ალავი არ უჭირავს, როგორც ორ პირველ გჯგუფში. სამეურნეო ნაწარმოები ვერ იტყევა ფულად ბაზრის (ე. ი. ქალაქის) სიშორის გამო, ამიტომ იხარჯვის თითონ მეურნისავან, ხოლო რაც აკლდება იმას ფულის საშუალებით ისრულებს. ფულის წყარო ტყეში მუშაობაა. დაეთვალეოროთ სოფელი. სახლები ქუჩელი და ვეროა, ნახევარი გადაკედულია საქონლის და საოჯახო სამკაულისათვის, მეორე ნახევარი ადამიანთა სამკაოა. ეს ნაწილი სდგან მამალთა ქვის საძირკველზე და შედგება რამდენიმე ოთახიდან, 2—3-ს არ გადაკედდება. ოთახი დაბალია, და კედლები თხელი აქვს. მოწეობლობა სდა, მაგრამ წმინდაა. აქეთ საზოგადოებო სოფელი ყველაფერში ქალაქს ბაძავს. ოჯახის პატრონი ცდილობენ ქალაქის ოჯახებს დაამგზავნონ თავიანთი სადგამის მორთულობა. სახლის მეორე ნაწილის კედლები პირდაპირ დედაშირიდან არის ამოყვანილი. აქ ინახება: ურემი, (ოთხ-გოგირანი და პატარა, უბანენ ძროხას და ამით ტყიან, რაც შორს არ არის, გამოაქეთ „ფინჩი“), ცული, წალი, ცული, ბალახის დასაჭერი რკინის მანქანა, რაც გვირან ძვირად უნდა ღირდეს, ძროხა, ქათმები და სხე. შეძლებულ ოჯახს ორი სამუშაო ცხენიც ჰყავს. ხარბი აქეთ არ მინახეს, ხოლო სადაც ენახე მით მიიტკა ნემი ყურადღება, რომ კისერზე უღელი არ ადებს, რკების ძირში დედი (ფართო ტყე) აქვს მოდებული და ამნაირათ მუბლით ეწვეა ოთხ-გო-

რიან მიმეთ დატვირთულ ურემს. ზოგ ოჯახში ღორის ღრუტუნსაც გაიგონებთ, იციან გოქს, გასასუქებენ, დაკვეენ, დაამარილებენ და ცოტა ცოტათი ქამენ. გერმანელს ხომ ძლიერ უყვარს ასეთი შექმადი, იმ დღეს დღეთ არ ჩაქოლის, როცა ღორის ღორის ერთ ნაჭერს არ იგემებს. მაგრამ ეს არის, რომ გლენ-კაცისათვის სრულებით მოუხერხებელია ღორების ყოლა, ვარეთ გამოშვება არ შეუძლია. ყველაფერი შეუღობავია, სადგომი კი იმოდენა არა აქვს, ხარჯიც ძვირად დაუჯდება. ამისათვის ის ყიდულობს გაკეთებულ ღორის ხორცს. რა შემოსავალი აქვს ოჯახს? რძე, რაც ერთობ დიდ ხმარებაშია, თითქმის ყოველ სადილ-განმარებე რამე რძით შემზადებული აქეთ. კერეცი, ძლიერ ცოტა, 2—3 დედარი თუ მოცევა მეტი არა, კართოვილი საკმარა აქვს, მწვანილ-უხაღებულობა, ბალახი ძროხისათვის და შემდეგ ცოტა-ოდენი ხილიც ჰქონდეს. ეს არის, როგორც ჩვენს იტყვიან „უფულოდ“ შექმნილი“. ეს ერთნაირად დედა-კაცის მომუშაებულა. ამას მიუმატეთ მამაკაცის დღის ქირა ორი—ორნახევარი მარკა. ყოველ სამუშაო დღეს ასეთ ქირას რომ იღებდეს კარგია, მაგრამ ეს ასე არ არის. მაგ. ზამთრობით ტყის წარმოება შემცირებულია, მაშასადამე არც ბევრი მუშა საქირა. ერთ გლენმა გამომითვალა 230 სამუშაო დღე წელიწადში, დანარჩენი ან უქმეა და ან სამუშაო არ მოიპოვება. გარდა ხეტყისა, მუშებმა თხოულობს აგრეთვე გზების კეთება, ან შეკეთება. აქეთ სამნაირი გზაა: სახელმწიფო შარა-გზა, ამის გაყვანა და შენახვა სახელმწიფო საქმე; სასოფლო გზა, ეს სოფლის ხარჯით კეთდება, და ტყის გზა, კეთდება ტყის გამგეობის ე. ი. იმავე სახელმწიფოს ხარჯით. გზის კეთება ისე არ იციან, როგორც ჩვენში, გაიწვევენ ხალხს და ამუშავენ. აქ ნაქირავეები კაცთ კეთდება გზები. რაღვანაც ტყის გზებზე დიდი მოძრაობაა, ამისათვის ხშირათ თხოულობს შეკეთებას. ზამთრობით, როცა ხის მუშაობა კლებულობს, გზის მუშაობა მატულობს. მაგრამ აქ აღებული ქირა დიდს არას შეადგენს, შეკეთებას ბევრი დეიდარაბა არ უნდა. ერთხელ სოფ. დებელისკენ მივდიოდ, უცებ თავს წაეადექი ერთ ბებერ კაცს, რომელიც ქვას ამტყვევდა. მუშას გზა ეკითხე, მიატოვა მუშაობა და მითხრა, დაბნენი ავტრ ვიმუშაოთა. მომიყვა აქაუ ი, იქაური და ბოლოს თავის თავზე გადავიდა. რამდენს იღებთ დღეში? — ეკითხე, ერთ მარკასა. გამოკერდა, დილიდან საღამომდე მუშაობ და ერთ მარკას იღებთ? — მე ხომ მხედავთ, დევიდო, ხის მუშაობისათვის ღონე არ შეჩქრებს. ამ ადგილ საქმეს ქო 13—14 წლის ბავშვებაც აკეთებენ ამავე ფასათ, მე მესტ ვი-

ლა მომცემს, იმას ხომ არ კითხულობენ ეს მოხუცია, ოჯახი ეყოლება, მეტი ერგება.

— შეიღებინ არ გყავთ? — როგორ არა, ექვსი, ოთხი ნაჭი, ორი ქალი, ყველა საქმეზე დვას ქალაქეზიო. — არ გეწევიან? მოხუცმა გიკინა, რას შემეწევიან, ქალაქში მყოფს ანაფერი მარჩება, ერთხელ კი გამოიგზავნა ერთმა რაღაცა, მარამ ანაფერი, სათქმელადაც არ ღირს. ეს კი არა და ის კი მინდოდა, ერთ-ერთი ქალიშვილი სახლში მომეყვანა, ცოლს აღარ შეუძლია ოჯახის მოვლა, ჩემსავით დაბერდა და ის მიეშველება-მეთქი, მაგრამ ეინ მოგვეყარა, თავს მოიცილათ და ქალაქს ვერ მოვიცილებითო. სულ კი თვეში მ მარკას იღებენ (თითოეული), ამასთანავე ბინა და საქმელი. — რასაკვირველია მოსამართლედ არიან. ამ დროს მოვიდა ერთი ახალგაზდა ვაჟ-კაცი უსულით მხარზე. ბებერმა წარმადინა: აი, ეს უტხოა და გზა მიასწავლეო. წავედით ერთად. ამანაც იმავე საგანზე ვაბა ბაასი. ლმერთი არ არის, ამ მოხუცს ერთი მარკა რაში უნდა გამოადევს, ეს მარტო ლუდს არ უყიდისო. დასაზღვევ კასში \*) ცოტა ფული რომ არ ჰქონდეს ხომ სხვის საპატრონათ გახდებოდაო.

— თქვენ რას იღებთ? — ჩემი საქმე სხვაა. მე მეწეად ვარ, მარა ასე პატარა სოფელში მუდამ არ მაქვს სამუშაო; ამიტომ მოცილილ დროს ტყეში ემუშავებ, ტყულიათ ყოფენას 2 1/2 მარკის აღება ვიბსო. ჩემი მოსაუბრე თავის ბედს არ ემდურის. თუმცა იმ აზრისაა, რომ ბებერი მოთხოვნილებად და მეტი საშუალებად უნდა გვექონდესო. — ჩემი სოფელი გვიანინ შეიღებულა, ღარიბი სოფელი იმას ვერ იზამდა, რაც ჩვენ ექვითი, მილით წყალი გავმოვიყვანეთ და ეს დაგიჯდა ას ოცდა ათი ათასი მარკაო. მართლაც, ის სოფელი ძალიან მალალ აღებას იწყებდა და იქ დაბლიდან სამი ევრსის სიშორეზე, წყლის აყვანა ხუმრობა არ არის. გერმანიისში ყველა მდინარე სახელმწიფოს ეკუთვნის. ს. დობელს, მდინარიდან წყლის წამოყვანის უფლებად სახელმწიფოდან შეუყვია. რამოდენიმე ათას მარკად აქ ეს არის კარგი, რომ ასეთა საზოგადო საქმეები შეიძლება კრედიტით (ნდობით) ვაკეთდეს. საზოგადოება სახელმწიფოდან გარანტიას შთაულობს, გამოისცემს ობლიგაციებს და აღეშულ ფულს ნელ-

ნელა თავინან-სარგებლიანად იხდის. მაგ. დობელმა 130 ათასი მარკა 60 წლის განმავლობაში უნდა ვასწოროს. თითოეული მასხანდე წელიწადში 15 მარკას იხდის, ეინც ქუჩიდან სახლში გამოიყვანს წყალს ის ხუთ მარკას ზედ-მეტს იხდის. 60 წელს შემდეგ წყალი მუქთად დარჩებათ. ათი წელია, რაც ვაუცთებიათ. მამ 50 წელი კიდევ უნდა უტყდომ. ასეთი ნებაყოფლობითი შეგპრით სრულდება ყოველივე სასოფლო საქიროებანი. ამ სოფელს აქვს ორ-კლასიანი სასწავლებელი, ორი დიდი სასოფლო შენობა, ფოსტა-ტელეგრაფი და სხვ. ამას მოუმატეთ სახელმწიფო და დანარჩენი სასოფლო გადასახადი. სულ კი 355 სული მცხოვრებია. სოფელთა სიაში ის სოფელი ასეა მოხსენებული: „Dobel-Waldarbeit“ (დობელი-ხე-ტყის მუშაობა). მეორე მხრით ასეთი სოფლის კეთილდღეობაზე დიდი გავლენა აქვს იმ გარემოებას, რომ ის სახელმწიფო გზატკეცილის პირას მდებარეობს. რკინის გზები, რასაკვირველია, ყოველგან არ არის, მაგიერა გაყვანილია შარავზები, რომელნიც გადასტრიაან შთებს, ტყეებს, ვეღს, დღელებს ერთი სიტყვით ასეთი გზებით დასერილია აქაურბოა, და კიდევ რა გზები! რამდენიც უნდა იწვიმოს, არც წყალი დადგება და არც ტალახი. სოფელს ხშირად ეძღლება შემთხვევა რაიმე ტვირთი რკინის-გზის სადგურს და სოფლებს შორის ვადიტან-ვადმოიტანოს. ამას გარდა გზაზე გამგელები სოფელში ისეენენენ, შედიან ყავანანაში. რამეს დახარჯენ და სხ. ამით სოფლებსი ზოგ ნამოქმედარს ცოტად ბაზარი ეძღვება, განსაკუთრებით შავხელობით. ამტროს ქალაქებიდან სოფლათ გზოდან, ზოგი საავარაკო, ზოგი სამაგზაურად. ხშირათ შეხვდებით ქალებს, კაცებს და ბავშვებს, ფეხით მოგზაურთ. ესენი ერთიანად შემოიყლიან ერთ კუთხეს და შემდეგ ისევ ბურუნდებიან ამტვერიანებულ ქალაქში.

დობელის სასოფლო შენობაში ერთი საყრობილდ ოთახანი; შიგ ერთი მაგიდა და გველი სკამი დვას! მასწავლებელმა მითხრა ხუთი წელია აქ ვარ და არ მახსოვს ეინმე დანაშაულობისათვის დეტუსალებინოთო. ერთმა გლეხმა მითხრა: რა გვაქვს დასაქერი. ყავა ხანაში თუ ეინმე დახარჯავს და ფულს არ მისცემს, იმას შევადებენ საყრობილდში. შარშან ერთი ასეთი მუქთი მოქეიფე დაამწყვიდეს ორი-სამი საათი, მეორე ისევ გაუშვესო. კაცის დაჭრა, მქეიფე და სხვა ამისთანაები არაუფერი ხდება — აქ გარეული ხალხი კი არ ცხოვრებენ, ერთმანეთს რომ დაერიონო, ჩემს სიცოცხლეში არც აქ და არც ამ ახლო-მახლო არ მომხდარა ასეთი საქმე. რა გვაქვს სახეუბარი? საჭკოს და ბურგომისტერის ამორჩევაზე

\*) აქ აღვნიშნავთ, რომ გერმანიის კანონ-დებულებას ძალით ყოველ მუშა-მოქალაქე, სოფლის არის თუ ქალაქის, ვადღებულაი თავის შემოსავლას რამდენიმე პროცენტს სწავლი, სახელმწიფოს შესარგულებას ქვეშ მყოფს კასში შეიტანოს, სადანაც სიყვანის, ან ავთომყოფობის დროს დასმარვას მიიღებს.

კი ვიცით პარტიობა, მარა აქ ხომ საჩხუბარი არა არის რა, რასაც ვადაწყვეტს მეტი რიცხვი, ის არის— დაბოლოვა მოსაუბრემ. მართლაც, რა უნდა ჰქონდეთ სადგომი? მიწა-ადგილი არა აქვთ გასაყფი, ან საჩივარი, ყველა მიწა უკვე გამიწუნულია. თითოეულმა იცის, რა ეყუთენის მას და რა არა. ზოგ მიწენის ქებზე ამოჭრილია გამაგენის წელთ აღორცხვა. აი, რამდენიმე ციფრები: 1857 წ., 1859, 1867, 1870 და სხ. 1875 წელს აქეთ რიცხვი აღარ მინახავს. საზოგადოთ გლეხი გლეხისაგან, მეზობელი მეზობლისგან სრულიად არ არის დამოკიდებული. ის დამოკიდებულია სამუშაოსაგან და არა მისგან სამუშაო. თვე, წელიწადი ისე გაივლის, რომ მეზობელი მეზობელს არას თხოვს რამესსებ, მომეხმარე და სხ, ერთმანერთში არ სჯირობენ.

სახელწერ გარეთელი.

(შეწავა აქვება)

### საქველ-მოქმედო საქმე

**მ**ოწალო ბელმწიფე ქაობატონო რედაქტორო! გიგზანით ოცს მანეთს ქ. რკუტსკ-ში შეგროვილს და გთხოვთ უმოხრჩილესათ მიუმატოთ იმ თანხას, რომელიც შესვლა მოსაგონებლათ გმ-ითა-გმირის მეფის ირაკლისა.

გიგზანით ამ მცირე წელიწოს იმ ქართველთ მოსასენებლათ, რომელნიც მტლეთ დაედენ და მსხვერპლათ შეწირეს თავისი თავი საყვარელ სამშობლოს და თანამომცეს და ჩვენ საშვილიშვილოთ დავგიტოვეს ანდერძი, თუ როგორ უნდა ემსახურო და თავი შეწირო სამშობლოსა და თანამომცეს...

გთხოვთ მიუმატოთ ეს წელიწადი ირაკლის თანხას რომლის დანიშნულდება არის დაარსო, ევროპის სხვა-და სხვა დიდ ქალაქებში ქართველ მოსწავლეთათვის სტიპენდიები და დავხმაროს გარეთ, რომ შემდეგში დავეიბრუნდენ სამშობლოში თავდადებული მამულიშვილები, რომელთ ვალი იქმნება-უთუოთ განახორციელონ აღიდებული მეფის ირაკლის ანდერძი.

აქვე გთხოვთ გამოაცხადოთ შემომწირველთა სახელი და გვარი და შეწირულობის რაოდენობა.

ივანე იმევემა 3 მ., ბარნაბა ახელეღიანა 2 მ., ალექსი პეტრიაშვილი 2 მ., ბახვა გოგიაევი 2 მ.: თითო მანეთი; პლატონ დადიანა, ირაკლი სულაბერიძე, ანრამ მეტრესკი, ყარამან ტუსკიამ, ასლან საბაშვილი, სამსონ ნაჭყელიამ, ოსიებ მეტრევილიძემ ხუთი მანათი. აღჩინდელი თანხით შედგება 60 მ. და 20 კ.

ი. შერგვიაძე.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლის.

# განცხადებანი

## ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 17 იანვარს 1896 წ.

ქართული დრამატული საზოგადოების დასასაგან წარმოდგენილი იქნება

ვალერიან გუნიას-საბენეფისოდ.

ქ-ნ ზაფიშვილისა, ეფ. მესხისა და პ-ნ აბაშიძის, გ. შუხისისა და ვლ. ალექსეევ-შესნიშვილის მონაწილეობით

პირველად ახალი პიესა.

I

## „პირველი ბუზი“

კომედია 3 მოქმედ. ეპიკო. ვლ. გუნიას—მიერ.

II.

## „სხომკრება“

დრ. სურათი 2 მოქმედ. ვლ. გუნიასა.

მონაწილეობას ღებულობენ: ეფ. მესხისა, ავალოვისა, ჩუჩუაშვილისა, ჩუჩიძისა, და სხვ. პანინა აბაშიძე, ალექსი-მესხიანი, გ. შუხისა, გუნიას, სემონიძე, გუგუნიანი, აბაშიძე და სხვ.

ადგილებს იფასი ჩვეულებრივია

შეკიდებისათვის ადგილუა ლოგეის უკან 65 კაპ.

დასაწყისი სწორამთ 8 საათუხამ

ოთხშაბათს 24 იანვარს დანიშნულია ბენეფისი გ. ე. გელეწანიისა.

რევისორი ვლ. ალექსეევ-შესნიშვილი

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გამოვ და და ისყიდება ყველა წიგნის გამყიდველბთან შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები ქ. თეატრით გამოქმდისა.

- 1, დრამატული თხზულებანი აქვ. ცაგარლისა პირველი წიგნი, აეტარის სურათათ, ფასი 50 კაპ.
- 2, მარგარტა „გოტე“ ალ. დიუმაშვილისა, ფასი 40 კ.
- 3, კედლის ქართული კალენდარი, ფასი 35 კ.
- 4, „დემონი“ თარგმანი შამია გურიელიის მთარგმნელის და სხ. 8 ნახატი — 10 კ.
- 5, „საქუჩაში“, სახალხო და საყმაწვილო ლექსთა კრება — — — 5 კ.

## ქუთაისის თავად-აჯნაურთ სააღმკვიდრე-გამგებელ განკის განკვეთვა

საუოველთაოდ აღსხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-18 § ძალით, აღნიშნულ რიცხვებში ბანკის გამგებების საკვებში საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქნებიან სხენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა ზირთა, შესხვედრ განსახადთა შემოუტანლობისა გამო.

გასყიდვა შონიშობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანხმად ბანკის წესდების მე-19 §-ისა, შეავსებენ ბანკის განსახადს და თან განცხადებთა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწება ქვემო მოყვანილის თავნი ფულიდამ სედ დამატებით სხვა-და-სხვა შემოსებელის გარდასახადისა, მამულის განსყიდვად დანიშნაზე ხარჯებისა და, საზოგადოდ, უგულა ამ ფულისა, რომელიც ბანკს თავისი მოვალის სამპაგიროდ დაუხარავს; ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსიშობა შეიძლება ამავე ბანკის გირათს ფურცლებით, რომელნიც მიიღებინ სხველდობრივის ფასისამებრ მხეთი მხეთად და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქნენ შეიდეველზე; სოლო ვადზე განსახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქნენ ნადათ.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებასურთ, მათ შემუდლიათ განსყიდვით მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 § საფუძველით, ინიშნება მორე და უკანასკნელი ვაჭრობა, 20 მარტს 1896 წელს.

### ვაჭრობა 28 თებერვლს 1896 წელს.

18<sup>7</sup>/<sub>12</sub> და 19<sup>11</sup>/<sub>12</sub> წლიანნი სისხნი.

ქ ქუთაისის.

დასახელების მიხაილ ერასტის ძის: ოპირის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლები: ერთი ერთ-სართულიანი და მეორე ორ-სართულიანი და მიწა 312 კვადრ. საყ. თავნი ვალი 482 მ. 59 კ. შეს. ვად. 291 მ. 54 კ. სულ 774 მ. 13 კ.

დასამიქათ: ნესტორ და სამსონ მიხაილის ძეთა: სათავადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 20 კვადრ. საყ. თავნი ვალი 22 მ. 12 კ. შეს. ვად. 291 მ. 54 კ., სულ 313 მ. 66 კ.

აღიგეთათ: იოსებ, ალექსანდრე და ივანე ხეთი-სოვარის ძეთა: ლევაშოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 1270 კვად. საყ. თავნი ვალი 111 მ. 60 კ. შეს. ვად. 129 მ. 82 კ. სულ 241 მ. 42 კ.

კობასისა ალექსი სიმონის ძის: ბალახევის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 455 კვადრ. საყ. თავნი ვალი 46 მ. 66 კ. შეს. ვად. 42 მ. 62 კ., სულ 89 მ. 28 კ.

მოგვაჟისა ვასილ ოქროპირის ძის: ოპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 479 კვადრ. საყ. თავნი ვალი 55 მ. 65 კ. შეს. ვად. 38 მ. 40 კ., სულ 94 მ. 5 კ.